საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3814
25/07/2022

3814-21-2-202207251721

ფ/პ ეკატერინე მიქიაშვილს
მის: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხორია
ელ. ფოსტა: ekaterine_mikiashvili@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2985 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც №21/3105 და21/2622 წერილებით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი;
- „ტექნოლოგიური პროცესის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ მდინარიდან წყლის ამოღება მოხდება 20 სმ დიამეტრის და 10 მ სიგრძის პოლიეთილენის მილით, რომლის საშუალებითაც წყალი ჯერ მიეწოდება საპროექტო ტერიტორიაზე ხელოვნურად მოწყობილ ბეტონის ჭას, შემდეგ გადაინაცვლებს ფერტიგაციის რეზერვუარში, ხოლო შემდგომ წყალი მიეწოდება გამანაწილებელ მილსადენს. ამასთან, „განმარტებით ბარათში“ აღნიშნულია, რომ მილსადენის სიგრძე მდინარიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე შეადგენს 40 მ-ს. შესაბამისად, დასაზუსტებელია წყალაღების წერტილიდან ხელოვნურად მოსაწყობ ჭამდე და ჭიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე გათვალისწინებული მილების სიგრძე. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში (გვ. 4) მითითებულია, რომ გამანაწილებელი მილსადენიდან წყალი 12-25 მმ დიამეტრის მქონე სარწყავ მილსადენებში ნაწილდება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მილსადენების დიამეტრი;
- სკრინინგის განცხადებაში წყლის მოცულობის საზომ ერთეულად მოცემულია „$მ^3$/ტ“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაკონკრეტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების (ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;
- „დაგეგმილი საქმიანობის ფაუნისტური დახასიათების“ თავში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბუჩქოვანი მცენარეების მოჭრის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო